

საქართველოს ორგანული კანონი
“საქართველოს საარჩევნო კოდექსში” ცვლილებების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. საქართველოს ორგანულ კანონში საქართველოს საარჩევნო კოდექსში (გამოქვეყნებულია საქართველოს საკანონმდებლო მაცნე №25 22.08.2001, მუხ. 107) შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილებები:

1. 94-ე მუხლის “კ” ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

“კ) საქართველოს ეროვნული ბანკის საქვეუწყებო დაწესებულების – ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსი და მოადგილეები, ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების, ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიისა და სხვა მარეგულირებელი ეროვნული კომისიების წევრები;”.

2. 111-ე მუხლის პუნქტის “კ” ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

“კ) საქართველოს ეროვნული ბანკის საქვეუწყებო დაწესებულების – ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსი და მოადგილეები, ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების კომისიის, ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიისა და სხვა მარეგულირებელი ეროვნული კომისიების წევრებს;”.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის, საქართველოს ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისიისა და საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის სალიკვიდაციო ღონისძიებების დასრულების შემდეგ.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი